



## საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებს კანონმდებლობით

### მნიშვნელოვანი ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონში

2017 წლის 1 სექტემბრიდან ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომში - „სამსახური“) ვალდებულია განახორციელოს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ე.ი. განახორციელოს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გამოყენებული პროცედურების აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი გარიგებებისა და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან და ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის, ეთიკის წესების დაცვის, გამოყენებული რესურსების ხარისხისა და რაოდენობის, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელებისათვის მიღებული ანაზღაურების მართლზომიერების და ხარისხის კონტროლის სისტემის შეფასება.



1 სექტემბრამდე სამსახური ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს ახორციელებდა მხოლოდ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართვის საფუძველზე.



### **მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება**

2017 წლის 17 აგვისტოს ოფიციალურად გამოქვეყნდა უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 27 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ (საქმე #ას-708-678-2016).

საქმის განხილვის დროს სასამართლომ იმსჯელა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვაზე, რომლის განმარტებით გაქვითვა წარმოადგენს პირის მატერიალურ-სამართლებრივ აღმჭურველ უფლებას. ამ უფლების რეალიზაციას ერთ-ერთი მხარე მეორე მხარისათვის შეტყობინებით ახდენს. შესაბამისად, მხარეს ამ უფლების განსახორციელებლად არ სჭირდება სასამართლოსათვის დამოუკიდებელი სარჩელით მიმართვა ან დაწყებულ პროცესში შეგებებული სარჩელის აღძვრა და ზედმეტი სასამართლო ხარჯების გაწევა. პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით მას შეუძლია წარადგინოს მოთხოვნის მომსპობი შესაგებელი.

### **მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება**

2015 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილების (გამოქვეყნდა 2017 წლის 31 აგვისტოს) ფარგლებში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების თაობაზე (საქმე № ა-2135-შ-46-2015), რომლის მიხედვით, შეთანხმება სასამართლოს საერთაშორისო განსჯადობაზე/კომპეტენციაზე წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებელ და თვითმყოფად ხელშეკრულებას, რომლის ნამდვილობა და ძალაში შესვლა წესრიგდება მატერიალური სამართლით, ხოლო მისი დასაშვებობა/ფორმა და სამართლებრივი შედეგები კი, განისაზღვრება შესაბამისი საპროცესო სამართლით.

### **მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციაზე, როგორც მესამე პირთა დაცვის საშუალებაზე ( საქმე №ას-189-182-2013).

სასამართლოს განმარტებით, საჯარო რეესტრის უმთავრესი დანიშნულებაა სწორად ასახოს რეესტრაციას დაქვემდებარებული ყოველგვარი უფლება, მათ შორის საკუთრების უფლება და მათი მდგომარეობა.

საჯაროობის პრინციპის თანახმად, რეგისტრაციის მომენტიდან უფლება იქნის იურიდიულ ძალას მესამე პირებისათვის. კანონმდებლობა უშვებს საჯარო რეესტრის სისწორის პრეზუმფციას, რაც იმას ნიშნავს, რომ მესამე პირებისათვის რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა.

მესამე პირთა დაცვის გარანტიები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლში, რომელიც ხაზს უსვამს საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას, როგორც მესამე პირთა დაცვის საშუალებას, ამასთან, უშვებს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ უფლებაში ხარვეზის შესაძლებლობას, თუმცა, მიუხედავად ამისა, იცავს ისეთ შემძენს, რომელიც ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. შემძენის ინტერესების დაცვის გარანტიებს შეიცავს ასევე სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილიც. საკასაციო პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები შემძენის სასარგებლოდ მოქმედებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მესაკუთრეს აქვს უფლება, შესაბამისი საზღაური მოითხოვოს არამართლზომიერი გამსხვიებლის მიმართ, ხოლო კეთილსინდისიერ შემძენს უნარჩუნდება საკუთრების უფლება.

პალატამ განმარტა, რომ უფლების შემძენს ტვირთად აწევს არა ყოველგვარი უზუსტო მონაცემის ცოდნა, არამედ მხოლოდ ისეთის, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს უფლების შემძენის ნამდვილობას. ჩანაწერის უზუსტობის ცოდნა ნიშნავს იმ გარემოებათა ცოდნას, რის გამოც ჩანაწერია უზუსტო, თავის მხრივ, შემძენს არ უნდა მოეთხოვოს იმაზე მეტის ცოდნა, რაც გონივრულ შესაძლებლობებს სცილდება.

### შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

**გიორგი თავართქილაძე**  
საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)

**გიორგი ხუროძე**  
იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)



### deloitte.ge

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 244 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](https://www.facebook.com/deloitte), [LinkedIn](https://www.linkedin.com/company/deloitte), [Twitter](https://twitter.com/deloitte).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაართოთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა

თბილისი, 0105 საქართველო

@ 2017 შპს დელოიტი და ტუშ. ყველა უფლება დაცულია.

